პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

პარასკევი, 14 მარტი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ

№ 451 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., სასახლის ქ. № 5. საველე ელსმენი № 32.
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპერლის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე.

გავაძლიეროთ ჩვენი დახმარება.

18 მარტს ჩვენ ვიდღესასწაულებთ პარიზის კომუნის მე-ორმოცდაცამეტე წლის თავს.

მთელ საბჭოთა კავშირში ეს დღე ჩატარდება რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების ლოზუნგის ქვეშ.

პარიზის კომუნის წლის თავს ჩვენ ვხვდებით ისეთ პირობებში, როდესაც საერთაშორისო რეაქცია მთელი თავის სახელმწიფო აპარატით სასტიკად სდევნის რევოლიუციის მებრძოლთ და ყოველგვარ მუშათა მოძრაობას. ათასობით და ათიათასობით სხედან დღეს ციხეებში და საშინელ ტანჯვაში იმყოფებიან ბურჟუაზიის სამეფოში ყველა ისინი, ვინც სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს კაპიტალიზმს და მსოფლიო ფაშიზმს.

დღეს დედამიწაზე არ მოიპოვება არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც არ სდევნიდეს კომუნისტებს და ყველა რევოლიუციონერებს, რომლებიც წინ აღუდგენ იმპერიალიზმის მონობას. ურა ნაკლებ ტანჯვას განიცდიან თვით ოჯახები ამ რევოლიუციონერებისა, რომლებიც ულუკმა პუროთ არიან დატოვებული ბედის ანაბარა.

საერთაშორისო რევოლიუციის ერთად ერთ მონაპოვარს ჯერ ჯერობით შეადგენს საბჭოთა კავშირი.

ამიტომ მთავარი დახმარება ტანჯულ რევოლიუციონერებისა და მათი ოჯახობისადმი უმთავრესად უნდა მიდიოდეს საბჭოთა კავშირიდან.

არსებული რევოლიუციონერთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაცია აკმაყოფილებს მხოლოდ საჭირო დახმარების 15%.

მართალია საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ბევრი შესწირეს, რაც განისაზღვრება 300.000. ოქროს მანეთის რაოდენობით, მაგრამ ეს არ კმარა.

საჭიროა მეტი დახმარება, მეტი ინიციატივა და ყოველმხრივ ხელის შეწყობა რევოლიუციონერთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციისადმი.

ამიტომ პარიზის კომუნის დღეს ნიშნად თავისი სოლიდარობის და თანაგრძნობისა ყველა მუშამ, გლეხმა და წითელ-არმიელმა უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა პატიმარ რევოლიუციონერთა დახმარების საქმეში და ყოველ-მხრივ ხელი შეუწყოს ზემო ხსენებულ ორგანიზაციის მუშაობის და მოქმედების გაფართოვებას.

ჩვენი დახმარებას უნდა ქონდეს მუდმივი ხასიათი, ამიტომ გარდა წვლილის გაღებისა ჩვენი მოვალეობაა გავხდეთ რევოლიუციონერთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიური წევრათ.

საჭიროა აქედანვე ვემზადოთ 18 მარტისათვის და ღირსეულად ჩავატაროთ საერთაშორისო რევოლიუციის მებრძოლთა დახმარების დღე.

ბესარაბიის საკითხი

ამ მოკლე ხანში შესდგება საბჭოთა კავშირის და რუმინეთის წარმომადგენელთა კონფერენცია, რომელზედაც უნდა გადაწყდეს სადავო კითხვები ამ ორ სახელმწიფოთა შორის.

ამ საკითხებში უმთავრესია ბესარაბიის საკითხი.

ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს ბესარაბია შეადგენდა ყოფილ რუსეთის იმპერიის განუყრელ ნაწილს.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ ბესარაბია გამოცხადდა მოლდავიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკად და შევიდა საბჭოთა ფედერაციის შემადგენლობაში, როგორც ნაწილი.

მაგრამ ბესარაბიის ბურჟუაზიის წყალობით იმპერიალისტურმა რუმინეთმა სისხლში ჩაახრჩო მოლდავიის სოციალისტური რესპუბლიკა და ძალით შემოიერთა ბესარაბია.

ამიერიდან იწყება საშინელი ტანჯვა და წამება ბესარაბიის მოსახლეობისა.

რუმინეთის სატრაპებმა გაამეფეს მასში პირდაპირ ბატონყმური წესები. ციხე, დახვრეტა, კარმიდამოს გადაბუგვა—აი რა მოელის ბესარაბელ მშრომელ გლეხს წინააღმდეგობის გაწევისათვის. დღემდის ბესარაბია იმყოფება რუმინეთის მონობის მძიმე უღლის ქვეშ. რუმინეთის პირსისხლიანი მთავრობა საშინელი რეპრესიებით უმასპინძლდება ყოველივე საწინააღმდეგო მოძრაობას. დახრჩობა, დახვრეტა, საკატორღო ციხე, ქონების კონფისკაცია, გადასახლება,—აი რას უქადის რუმინეთის დესპოტია ყოველივე ურჩს.

რუმინეთის მემამულეებს სურთ ყოველივე ღონისძიებას და საშვალებას მიმართონ, რათა შეინარჩუნონ ბესარაბია თავის კლანჭებში.

ამიტომ ყოველივე ცდის დროს რუმინეთთან მოლაპარაკებისა, ის საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოითხოვდა წინასწარ პირობათ, რათა ჩვენ გვეცნო ბესარაბია რუმინეთის საკუთრებათ.

ცხადია ასეთ პირობაზე ჩვენ არას დროს არ დავთანხმდებოდით.

მით უმეტეს არ დავთანმხდებით არც ეხლა, როდესაც საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა მეტისმეტად განმტკიცდა და რუმინეთი იძულებული ხდება სულ სხვა აჰნგებზე დაიწყოს ჩვენთან ლაპარაკი.

ბესარაბიის მშრომელთა ხალხის ალშფოთებამ და აღელვებამ მიაღწია მოთმინების უმაღლეს წერტილს.

ტირასპოლში მომხდარი დემონსტრაციები ბესარაბია—ბუკოვინის მუშებისა და გლეხების ამის საუკეთესო დამამტკიცებელი მაგალითია.

ამიტომ ყოველივე მიზეზ გარეშე ბესარაბია უნდა იქმნას განთავისუფლებული რუმინიის ბატონობისაგან ისე, როგორც ის იქმნა განთავისუფლებული ოქტომბრის რევოლიუციის მიერ რუსეთის ცარიზმისა და ბურჟუა-მემამულეთა მონობისაგან.

„ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ რუმინეთი გაიყვანს ბესარაბიიდან თავის ჯარებს და შესაძლებლობას მისცემს მცხოვრებთ თავისუფლად გამოსთქვან თავისი ნებისყოფა პლებისციტის საშვალებით“.

ამბობს უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ჩუბარი.

„პლებისციტის შედეგებში ჩვენ ეჭვიც არ გვეპარება,—განაგრძობს ის—რადგან ბესარაბიის და ბუკოვინის მუშები და გლეხები სულს ლაფავენ რუმინეთიის მემამულეების უღელ ქვეშ“.

ამიტომ უდავოა, რომ მათი ხმები არც ერთის გამონაკლისით მიცემული იქნება მოლდავიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სასარგებლოთ.

—ე.

ᲠᲐᲓᲘᲝ-ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

— ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲡ ᲛᲝᲡᲓᲘᲡ ᲑᲔᲡᲡᲐᲠᲐᲑᲘᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘ ᲒᲐᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲝᲜ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲜᲘ ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲦᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ.

— ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲐ ᲯᲐᲛᲔᲑᲘ ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲐ, ᲚᲝᲪᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲗᲥᲛᲐ ᲛᲘᲜᲐᲠᲔᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

— 1902 Წ. ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲯᲐᲠᲨᲘ ᲒᲐᲬᲕᲔᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲜᲘ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ.

უხეში შეცდომა.

საკითხი საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ ხელახლად დგება დღის წესრიგში. ეკონომიური სააგენტო უძღვნის თავის დამატებას ფინანსიურ საკითხებს და უმთავრესად, რუსეთის ნავთის აქციებს. მოაგონებს რა, რომ საბჭოთა მთავრობა ცნობილია სახელმწიფოების მთელი რიგის მიერ, წერილის ავტორი ამბობს რომ საფრანგეთის მხრივ უხეში შეცდომა იქნებოდა საერთო მოძრაობიდან განზე დგომა. სააგენტოს აზრით. საფრანგეთს შეუძლია მიაღწიოს სასურველ შედეგებს თავის დანაკლისის ანაზღაურების საქმეში, კავკასიის ნავთის დამუშავებით.

გაზეთი „ეკლერ ბიური“ ეხება რა იმავე საკითხს, ამბობს, რომ ბირჟაზე დადის ხმები, თითქოს საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს განაახლოს მოკლე დროში დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. მისი სიტყვით საბჭოთა კავშირის ცნობის მზადება შემჩნეულია როგორც ელისეის სასახლეში, აგრეთვე კედორსეზეც (საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო), და რომ მხოლოდ პუანკარე ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს საფრანგეთს.

ბიურო ურჩევს რომ არაა საჭირო აჩქარება ცნობის საკითხში და უცდის ინგლის-საბჭოთა კომისიის მუშაობას ლონდონში.

ოკუპაციის მსხვერპლნი.

საზოგადოების არხანგელის კომიტეტის მიერ გამოგზავნილ იქნა დაღუპულთა სია ინგლისის მიერ არხანგელის გუბერნიის ოკუპაციის დროს. მარტო ისკანგის ციხეში არხანგელის გუბერნიის განთავისუფლების მომენტში ინგლისის მიერ, იმყოფებოდა 1.200 კაცი; 157 კაცი დაიღუპა განსაკუთრებით, ცინგით, რომელიც შედეგად მოყვა შიმშილსა და საშინელ ანტიჰიგიენურ პირობებს.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ

ჯარში გაწვევის შესახებ.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა ჯარში გაწვევის დროს მიეცეს შეღავათები (დროებით დატოვების სახით) სამეცნიერო მუშაკებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს.

გაფიცვები.

გერმანეთის გემზე „გალილეა“, რომელიც ამ დღეებში მოვიდა ადესაში, იფეთქა „კომანდის“ გაფიცვებმა ეკონომიურ ნიადაგზე,

ინტერვენციის მსხვერპლთა დახმარების საზოგადოება.

მოწოდება.

ინტერვენციის მსხვერპლთა დახმარების საზოგადოების გამგეობამ მიმართა თხოვნით საბჭოთა კავშირის ყველა ცენტრალურ სახელმწიფოებრივ ორგანოებს, რათა მიეცეს ფართე დახმარება საზოგადოებრივ სამეცნიერო წრეების ინიციატივას, საზოგადოების მიერ დასახულ ამოცანების განსახორციელებლად. გამგეობამ გადასწყვიტა გაშალოს მუშაობა ინტერვენციისაგან დაზარალებულთა აღსარიცხავად, რისთვისაც საჭირო იქნება ფართე ქსელი საზოგადოების ადგილობრივი ორგანოებისა.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲔᲚᲩᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ.

ინგლისის პრესა განაგრძობს კომპანიას ო, გრედის კანდიდატურის წინააღმდეგ ელჩის თანამდებობაზე მოსკოვში.

„ვესტ მინსტერ გაზეტტ“ აცხადებს, რომ არავითარი წინადადება ინგლისის მხრივ ო, გრენდის შესახებ არ ყოფილა. გაზეთი უერთდება „მანჩესტერ გარდიენ“-ის აზრს, რომელიც სთვლის ხოჯსონს შესაფერის კანდიდატად.

„მორნინგ პოსტ“ იუწყება, რომ მთავრობამ საბოლოოდ უარყო ფიქრი ო, გრედის დანიშვნის შესახებ და შესაძლებლად სთვლის ინგლისის ელჩის პრაგაში—კლერკის კანდიდატურას, რომელიც იყო ინგლისის უზენაეს კომისრად ბუდაპეშტში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს უნგრეთში.

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲖᲔ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.

უკანასკნელ დღეებში ლონდონის ფინანსიური პრესა დაჟინებით მოუწოდებს ბანკირებს და საზოგადოთ სიტის გამოჩენილ წარმომადგენლებს შეუერთდენ „ბრიტანეთის ინდუსტრიის ფედერაციას“, საბჭოთა კავშირთა სავაჭრო ურთიერთობის საკითხში. (როგორც ვიცით, ბრიტანეთის ინდუსტრიის ფედერაციამ წამოაყენა პრინციპი, რომ არავითარი კრედიტი არ შეიძლება მიეცეს საბჭოთა კავშირს, სანამ ის არ იცნობს ვალებსა და კომპენსაციებს ჩამორთმეულ ქონებებში).

პარიზის კომუნის წლის დღესასწაულისათვის.

„მოპრ“-ის მოწოდება.

რევოლიუციის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის („მოპრ“) ცეკამ მიმართა ყველა მშრომელებს შემდეგი შინაარსის მოწოდებით:

„მეგობრებო და ამხანაგებო! პარიზის კომუნის 53 წლის თავს ყველა ქვეყნების მშრომელები ეგებებიან შეტევაზე გადმოსულ კაპიტალთან ბრძოლით. მხოლოდ მარტო საბჭოთა კავშირში მუშები და გლეხები დღესასწაულობენ, როგორც გამარჯვებულები. დანარჩენ ქვეყნებში ბურჟუაზია სდგას კიდევ ძალაუფლებასთან და გამეფებული ყავს მუშათა კლასის წინააღმდეგ თეთრი ტერორის რეჟიმი. რევოლიუციასთან ბრძოლაში მსოფლიო კაპიტალი სცდილობს უპირველეს ყოვლისა თავი მოჰკვეთოს პარტიას, უვნებელ ჰყონ თვით საუკეთესო, ენერგიული და თავგანწირული მებრძოლნი კომუნიზმისა. თუ 1871 წლის მაისის კვირა დაუჯდა საფრანგეთის პროლეტარიატს ძვირად და დაჰკარგა ათასობით საუკეთესო შვილები, დღეს—1924 წელს საერთაშორისო მუშათა კლასი ანგარიშობს თავის მსხვერპლს ათი ათასობით.

იტალია, ბულგარეთი, გერმანეთი, პოლონეთი, ესპანეთი, ლატვია, ლიტვა, ფინეთი—როგორ იამაყებდა გენერალი გალიფე ასეთი ღირსეული მოწაფეებით—ამ ქვეყნების მოწაფეებით!

„დემოკრატიული“ ამერიკა, სადაც კუ-კლუკს-კლანის ფაშისტური ბანდები, საშვალო საუკუნეების ერთგულნი, აწარმოებენ მათ ხელში ჩავარდნილ მუშების მიმართ საშუალო საუკუნეების ინკვიზიციის წამებას.

„მუშათა“ ინგლისი, რომლის ძალაუფლების ქვეშ იტანჯება ციხეებში 4.000 რევოლიუციონერი ირლანდიელი და ათასობით ინდუსები მებრძოლნი ცხოვრების უფლებისათვის.

„სათნოიანი“ იაპონია, სადაც ისე მოხერხებულად ისარგებლა „ვაენჩინამ“ ხალხის უბედურებით—მიწისძვრით, რომ გაენადგურებიათ ათასობით პროლეტარები, თავდადებულნი თავიანთი საქმისათვის.

აღზრდილნი სახელოვან ვერსალის ტრადიციებზე რუმინეთის ოფიცრები დახელოვნებულნი წამებაში, რომლებიც ფეხებს უშანთავენ თავიანთ უბედურ მსხვერპლებს.

საბჭოთა კავშირის მუშებო და გლეხებო! თქვენ განიცადეთ ცარიზმის საშინელებანი. მაგრამ იცოდეთ, რომ დღევანდელი შურის ძიება აგონიაში ჩავარდნილ კაპიტალიზმისა მისი მესაფლავეს—მუშათა კლასის მიმართ, - ასჯერ უძლიერესი და ულმობელია. ნერჩინსკის კატორღის საშინელებანი არაფერია უნგრეთის „ციმბირთან“, საკონცენტრაციო ბანაკებთან შედარებით, რუმინეთის მარილიან კატაკომბებში წამება, არაფრით არ ჩამოუვარდება ორლიავის ცენტრალის კედლებს.

დაჩაგრულთ, დევნილთ, ციხეში მჯდომთ სჭირდება ჩვენი დახმარება საბჭოთა კავშირის მშრომელნო. არა მარტო ფულებით,—კიდევ მეტი, ვინემ ფულებით. მოწყვეტილი თავიანთ პროლეტარული რიგებიდან, განშორებულნი ოჯახებს, მოკლებული ყოველგვარსაჭიროებას პატიმრები, მაინც არ კარგავენ იმედს თავისა და მთელი მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

დეე 18 მარტი გახდეს მათთვის დამამტკიცებლად იმისა, რომ ეს იმედები ახდება. ჩვენი დახმარება—დახმარება იმათ მიმართ, ვინც ჩაება კაპიტალისტური ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი დახმარებით, ჩვენ ამით ვაჩქარებთ კაპიტალის ძალა უფლების ჩამოგდების მომენტს მთელ ქვეყანაზე.

დეე, 18 მარტს საბჭოთა კავშირის წითელი დროშები მიესალმოს მათ, ვინც წითელი დროშის სამსახურით იგემა საშინელი ციხე და კატორღა.

პარიზის კომუნა დაეცა, ვინაიდან 71 წლის გმირებმა ვერ ჰპოვეს დახმარება სხვა ქვეყნების პროლეტარების მხრივ.

საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო და მშრომელნო! 18 მარტს კიდევ ერთხელ დაანახეთ ქვეყანას, რომ კომუნის გაკვეთილი ტყვილად არ დაკარგულა, რომ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობა უკვე არსებობს.

შედით „მოპრის“ რიგებში, მოაწყვეთ შემოწირულებები კაპიტალის პატიმართა სასარგებლოდ, დაეხმარეთ „მოპრის“ სექციებსა და განყოფილებებს, აღიმაღლეთ პროტესტის ხმა თეთრი ტერორისა და ფაშიზმის წინააღმდეგ.

საქ. კათალიკოსის ამბროსის და სხვა მის თანამშრომელ ხუცების გასამართლება.

თეატრის წინ.

ქუჩები თეატრის ახლო-მახლო გაჭედილია ხალხით. მისვლა კარებთან ძნელია ბილეთებიანებისათვის.

ამბროსის და სხვა ბრალდებულთა მოსვლას ხალხი ხვდება ძახილით:

-- ძირს, ზიზღი ამბროსის!

ბრალდებულთა დაკითხვა.

11 მარტს, საღამოს 6 საათზე იხსნება სასამართლოს მეორე სხდომა. ხდება ბრალდებულთა დაკითხვა. პირველ ათ დაჰკითხეს ამბროსის. მას შემდეგი ბრალდება: 1. ბრალდება, რომ მან გაუგზავნა ყალბი ცნობებზე დამყარებული მემორანდუმი გენუის კონფერენციას, 2. ხელს უწყობდა განძეულობის გადამალვას და ამის შესახებ არ შეატყობინა სათანადო ორგანოებს და 3. წინააღმდეგ იყო ყოფ. სამხედრო ტაძრის ახალ. კომკავშირისათვის გადაცემაზე.

კითხვაზე სცნობს თუ არა იგი წაყენებულ ბრალდებებში თავს დამნაშავედ, იგი უპასუხებს, რომ არა.

დაჰკითხეს მიტროპოლიტ ნაზარი (ლეჟავა). მას ბრალდება მხოლოთ განძეულების გადამალვა. დამნაშავეთ არც ესა სცნობს თავს.

ეკითხებიან სათითაოთ დანარჩენებსაც. არც ერთი თავს დამნაშავეთ არა სცნობს.

საჯარო გამოძიება.

მცირე შესვენების შემდეგ სასამართლო გადადის საჯარო გამოძიებაზე. გამოძიება იწყება, პროცესის ცენტრალურ ფიგურა, ამბროსიდან. დამსწრე საზოგადოება ვერ იკავებს თავს და ხშირათ აწყვეტინებს მას ლაპარაკს.

— ძირს, ზიზღი, სირცხვილი...

გაისმის ქანდარიდან. თავმჯდომარე მოუწოდებს საზოგადოებას წესიერებისაკენ.

ამბროსის თავის მართლება.

მემორანდუმის წერის დროს მე მიზნათ მქონდა, რომ ჩემი იმ ნაბიჯით ხელი შემეწყო არსებული მთავრობისათვის და დავხმარებოდი ერთგვარათ მის წარმომადგენელს, რომელიც აქედან წასულიყო გენუაში, ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაში.

კითხვა—მაშინ რატომ პირადათ ჩვენ ამხანაგს, კერძოთ ბ. მდივანს არ გადაეცით ეს მემორანდუმი და იმას არ გაატანეთ, უპასუხოთ დარჩა ბრალდებულის მიერ. (ამბროსი განაგრძობს): ჩემი სურვილი და მიზანი იყო რომ ჩვენი, საქართველოს მთავრობა ყოფილიყო დამოუკიდებელი. ჩემთვის სულ ერთი იყო, როგორი მთავრობა იქნებოდა საქართველოში, საბჭოების თუ სხვის. მე ვემორჩილებოდი და ვემორჩილები ყოველგვარ მთავრობას. მე არასოდეს, ერთი წუთითაც კი არ დამიშვია აზრად, რომ გამელაშქრებიოს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. წითელი ჯარის შემოსვლა საქართველოში მესმოდა ისე, როგორც ინტერვენცია და თავისუფლების მოსპობა და მე ვიბრძოდი ამ თავისუფლებისათვის და ინტერვენციის წინააღმდეგ.

საზოგადოთ ამბროსი ისე ლაპარაკობს, თითქოს მას მართლაც არავითარი პოლიტიკური მოტივები არ ამოძრავებდა, მაგრამ პროკურატურის კითხვებიდან ის ხშირათ ვარდება წინააღმდეგობებში და თითონაც აღარ იცის, როგორ უპასუხოს. სხვათა შორის, ბრალდებულმა განაცხადა, რომ მემორანდუმის დაწერაში არავის არ მიუღია მონაწილეობა და რომ მისი დაწერის და გადაგზავნის ინიციატივა ეკუთვნის მხოლოთ მას და სხვა არავის.

ამ პირის დაკითხვას სასამართლო უნდება სამ საათზე მეტს.

ნაზარის დაკითხვა.

მიტროპოლიტმა ნაზარიმ, იგივე ლეჟავამ, განაცხადა, რომ გენუის კონფერენციისადმი მიმართულ მემორანდუმის შესახებ მან სრულებით არაფერი იცოდა და ამის შესახებ გაიგო მხოლოთ გაზეთებიდან, როდესაც იგი უკვე დაბეჭდეს. არავითარი მონაწილეობა მას მის შეთხზვაში არ მიუღია.

კითხვა.—როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა იმ მემორანდუმს პოლიტიკური მნიშვნელობის ხასიათი და ჰქონდა თუ არა ამბროსის უფლება მისი გაგზავნის საკათალიკოსო საბჭოს დაუკითხავათ.

პასუხი. მე ღვთის მეტყველი კაცი ვარ და პოლიტიკის სრულებით არაფერი გამეგება, ხოლო იმის განსჯაში მე არ შემიძლია შევიდე რისა და რის უფლება ჰქონდა ჩემს მოძღვარ ამბროსის.

განძეულობის შესახებ იგი აცხადებს, რომ მას განძეულობა ეგულვებოდა ფრიად საიმედო ადგილზე და ამიტომ არ სცნობდა საჭიროთ, რომ იგი გადაეცა მთავრობისათვის. შეკითხვაზე, თუ რა მოსაზრებით ჰქონდათ შენახული კიდევ მიწაში მაშინ, როდესაც ქვეყანა დამშვიდებული იყო, ბრალდებულმა ვერ უპასუხა გარკვევით.

სასამართლო გადადის განძეულობის დამალვის უმთავრეს ინიციატორის ჯაფარიძის დაკითხვაზე.

გადამალვის ისტორია.

1921 წ. თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში, როდესაც მენშევიკური მთავრობა თფილისს სტოვებდა მცხეთის მონასტრის და სიონის ტაძრის ძვირფასი განძეულობა (თვალ მარგალიტები, ბრილიანტები, ოქროულობა, იაგუნდები და სხვა) მთავრობისა და კათალიკოს ლეონიდეს ბრძანებით უნდა გადატანილ ყოფილიყო და მიებარებიათ ქუთაისში სახელმწიფო. ბანკში ლეონიდემ დაავალა არქიმანდრიტ ჯაფარიძეს, რომ მას მიეღო ეს ნივთები და წაეღო ქუთაისში ჩასაბარებლათ. მან კათალიკოსის ბრძანება აასრულა. მატარებლის დერეფანში ჯაფარიძემ მოათავსა ყუთებში ჩალაგებული ნივთები და გაემგზავრა. გზაში მას შეხვდა პროფ. ე. თაყაიშვილი და ბენია ჩხიკვიშვილი და მისთხოვეს, რომ მას მათთვის გადაეცა ეს ნივთები და ისინი უპატრონებდნენ მას, მაგრამ ჯავარიძე არ დასთანხმდა. ქუთაისში ჩასვლისას გამოირკვა, რომ ბანკი გადადიოდა ბათომში და უდროობის გამო ჩაბარება აღარ მოხერხდა. ამიტომ ჯაფარიძემ განძეულება წაიღო ქუთაისის საკათედრო ტაძარში. რადგანაც მოსალოდნელი იყო უწესოების მოხდენა ქალაქში და განძეულობას ამ მხრივ უთუოთ დიდი საფრთხე მოელოდა, ამიტომ მეორე დღეს იქ ჩამოსულმა კათალიკოსმა ლეონიდემ უბრძანა მას ეს განძეულობა დაემარხა არქიელის სადგომის აივნის ქვეშ. მან ეს ბრძანება შეასრულა. ლეონიდემ ხატზე და ჯვარზე დააფიცა ჯაფარიძე, რომ ის ამ განძეულობის შესახებ არავის არაფერს ეტყოდა. ამიტომ ჯაფარიძეს არავისათვის არაფერი უთქვამს და თუ ვინმე რაიმეს ჰკითხავდა უპასუხებდა თანახმათ ლეონიდეს დარიგებისა, რომ ნივთები მენშევიკებმა წაიღეს საზღვარ-გარეთო.

მხარეთა კამათი.

დამცველთა და ბრალმდებელთა შორის მცირე კამათი გამოიწვია იმან, რომ მთავრობის მიერ არ ყოფილა ინსტრუქცია გამოსული საეკლესიო ნივთების ჩაბარების წესის შესახებ, თორემ გადამალულ ნივთებსაც ჩააბარებენო. პასუხით გამოვიდა საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. ერქომაიშვილი, რომლის სიტყვამაც დამსწრე საზოგადოებაში მქუხარე ტაში გამოიწვია.

საბჭოთა მართლ-მსაჯულება

ვინ არ იცის თუ რას—წარმოადგენს საბჭოთა ხელისუფლების დროს სასამართლო და კანონ მდებლობა? ჩვენი მართლ-მსაჯულება ყოველთვის ობიექტიური და სამართლიანია ისე, როგორც არსებული ხელისუფლების დროს სახელმწიფოს მმართველობის ფორმა. ის კლასიური სასამართლოა, ის ხალხის უფლების დამცველია. ის იცავს მუშათა კლასს გარშემორტყმული, მტრებისაგან ახალი ეკონომიური პოლიტიკის ნიადაგზე წარმოშობილ ახალი ბურჟუაზიისაგან და ყველა ბოროტი ნების მატარებელ წრეებისაგან, რომელთა მოქმედებაც მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ, თუ თავისი შეუგნებლობით, უვიცობით, მხოლოდ არა ბოროტი ნებით და სურვილით, ბოროტებას ჩადის მშრომელთა წიაღიდგან გამოსული მუშა და გლეხი, სასამართლოსდა მოსამართლეს, ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, ასეთისადმი ლმობიერ მიდგომის და მისი გამასწორების გზაზედ დაყენებისა. ამის საშვალებას აძლევს მას საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკანონებული ს. ს. კოდექსი პირობითი სასჯელის გამსაზღვრელი 46 მუხ. ამშვენებს ჩვენ ს. ს კოდექსს, და ეს იძლევა საშუალებას, სასამართლომ მიიღოს მხედველობაში ამა თუ იმ ბოროტმოქმედების წარსული, განვითარება, პირობები რომელშიდაც მოხდა ბოროტმოქმედების ჩადენა, სოციალური მდგომარეობა და სხვა მისჯილი ზომა სასჯელისა შეუცვალოს პირობით ე. ი. მაშინვე არ მოახდინოს სასჯელი იმ გაფრთხილებით, რომ დამნაშავე მომავალში ასეთს აღარ განიმეორებს და დაადგება გამოსწორების გზას.

ასეთი ზომა სასჯელისა არ იცის არც ერთმა „კულტურულმა“ ქვეყანამ, ამის დაკანონება და ცხოვრებაში გატარება მხოლოდ „კაცი-ქომია“ კომუნისტებმა შესძლეს. ამ სასჯელის ზომას დაკანონებით, საბჭოთა ხელისუფლებამ აღიარა რომ ის არ არის დაინტერესებული მარტო დასჯით, არამედ ის სცდილობს გასწორების გზაზედ დააყენოს ყველა ის, ვისშიდაც არის ლტოლვა ასეთისადმი. ასეთი მდგომარეობა—არის ფაქტი, და ეს უნდა იცოდეს ყველა მშრომელმა, ყველა მუშამ, გლეხმა და პატიოსანმა მოქალაქემ, რომ ის სავსებით ჩასწვდეს სასამართლოს მიუდგომლობას, კანონიერებას და სრული ნდობა გამოუცხადოს მას. საერთოდ წ. ლაშქარში, და კერძოთ ჩვენ დივიზიაშიდაც არის ასეთი სასამართლო სამხედრო ტრიბუნალის სახით, ლაშქრის შიგნივ ბოროტების აღმოსაფხვრელად. წინად მეფის დროს და სოციალ გამყიდველების მენშევიკების დროსაც, სამხედრო სასამართლოს ერთი გაგონებაც კი შიშის ზარსა სცემს სამხედრო პირს. იმიტომ, რომ ამ „სასამართლოს“ „სამართლიანობა,“ როგორც საზოგადო ფორმა მაშინდელი სახელმწიფოს მმართველობისა, იყო მხოლოდ უკანონობაზედ აგებული. ეხლა ყოველი წითელ არმიელი, თავის მართლმსაჯულების ორგანოს, სამხედრო ტრიბუნალს, უნდა უცქეროდეს სრული ნდობით. თვით სამხედრო ტრიბუნალი, რომ მის მოქმედებას უფრო ნათლად გაეცნოს წ. არმიელთა მასსა, ხმარობს ყოველგვარ საშუალებას სასამართლოს სესიების მოწყობით და ადგილებზედ საქმეების გარჩევით. სესიები იმართება ყველა ქალაქებში, და განზრახულია აქაც, თბილისის ნაწილებშიაც. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა რომ იმ დღეებში, როდესაც საქმეები სამხედრო ბრალდებულთა დანიშნულია თვით ტრიბუნალის დარბაზში, თავისუფალ წ. მოლაშქრეებს აგზავნიდნენ ნაწილები.

ჩვენს წითელ ჯარში

საერთაშორისო ქალთა დღე მეორე ლეგიონში.

8 მარტს სალამოს ლეგიონის კლუბში შესდგა უფ-პოლიტ წითელ არმიელთა საერთო საზეიმო სხდომა, სადაც დაესწრო მთელი ლეგიონის შემადგენლობა.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. ელიაშვილი, მდივნობდა ამხ. ჭანიშვილი.

დღის წესრიგში იყო 8 მარტი—ქალთა საერთაშორისო დღე.

8 მარტის—ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. უგულავა, რომელმაც ვრცლად და მკაფიოდ აღნიშნა 8 მარტის მნიშვნელობა.

ამავე კითხვაზე მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ბახტაძე; რომელიც ეხება აღმოსავლეთ ერების ქალთა, დასავლეთ ევროპის და სსრ ქალთა მდგომარეობას. მოხსენებების დამთავრების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. უგულავასი ქალთა საერთაშორისო მოძრაობის შესახებ ჩვენ მეორე ლეგიონის უფ-პოლიტ წითელ არმიელთა შემადგენლობას ღრმად გვრწამს, რომ მხოლოთ ოქტომბრის რევოლიუციამ გამოიყვანა ქალი თავისუფალ ასპარეზზე და მიანიჭა მას ყოველივე უფლებები. ეს შესძლო მხოლოთ კომუნისტურმა პარტიამ. გაუმარჯოს კომპარტიას!

გაუმარჯოს საერთაშორისო დღეს 8 მარტს!

სხდომის გათავების შემდეგ ნაჩვენები იქმნა კინო სურათი, რის შემდეგ წითელ არმიელები დაიშალენ და წავიდნენ თავ თავიანთ ყაზარმებში.

მე-2-რე ლეგიონის
სამხკორი: **მელქაძე.**

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი მზე“ № 1. (ქ. მ. დ. ც. კ. ყოველთვიური კედლის გაზეთი).

საქ. გასაბჭ. სამი წლის თავზე ც. კლუბთან არსებულმა სარედ. კოლეგიამ გამოსცა ჯერ არ არსებულ სიდიდის (ფორმატით) კედლის გაზეთი, რომელიც დაყოფილია ოთხ დიდ სვეტად, მოთავსებულია ორი დიდი წერილი (პირველი და მეორე) „25“ თებერვალი კარგი შინაარსისაა და გრძნობით ნაწერი და „სამი წლის თავი“, შემდეგ პატარა დეპეშაა ამხ. რიკოვის ჩამოსვლაზე, მერე ლექსია, „6 წლის თავზე“, შემდეგ სულ იუმორი მიდის (ხათაბალა“ „კუპლეტები“ და სხვა) სურათები, ორი მეგობრული შარჟია და,—გაზეთს მარჯვნიდან მისდევს მთელ სიგრძეზე დროშის ტარი, რომელზედაც გრძელი წითელი ლენტია დახატული (ალბად დროშის მაგიერ) და ზედ აწერია გაზეთის სახელწოდება, სულ თავზე ქარხნებია დახატული და შორს მთებიდან წითელი მზე ამოდის. იდეა მხატვრობის კარგია, მაგრამ შაბლონიურია, და უგემურადაა ნახატი. შარჟები კარგ თემებზეა, მაგრამ აქ არაფერი მსგავსება არ არის შიგ აღნიშნულ პირთა. აქ არა სჩანს მხატვრის ხელი ისევე, როგორც სათაურ სურათში. გაზეთი ძალიან მკრთალად იყურება.

გაზეთს ეტყობა აჩქარებულობა. მარტო სამი ავტორი სჩანს. მერე კი დევ ყოველთვიურიო! კედლის გაზეთი ვის გაუგონია თვიური? „ხათაბალა“ და „კუპლეტებიც“ უადგილოა.

იმედია სარედაქციო კოლეგია შემდეგისათვის უფრო გამოაკეთებს გაზეთსა, როგორც ცენტრალურ კლუბის გაზეთს, რომელიც მაგალითი უნდა იყოს ნაწილების გაზეთებისათვის.

წერილები უნდა იყოს მოკლე, სხვა და სხვა თემებს უნდა აშუქებდეს, იყოს მასალები რიგზე დალაგებული, კარგად დასურათებული და გაზეთი ყოველკვირეული.

ამ გაზეთს დიდი მომავალი აქვს და კოლეგიასაც შესწევს ძალა უკეთესად დააყენოს გამოცემის საქმე. ვუსურვებთ გამარჯვებას.

სანი.

კონკურსისათვის.

ექიმი დავით პავლეს-ძე კოსტავა. ამხ. კოსტავა შთამომავლობით გლეხია. დაიბადა 1886 წელში ქ. ქუთაისში, სადაც დაამთავრა საშუალო სწავლა.

საექიმო ფაკულტეტი ამხ. კოსტავამ დაამთავრა 1913 წელს ქ. ოდესაში. ის დაბრუნდა ქ. ქუთაისში და დაიწყო პრაქტიკის მისაღებათ ქალაქის საავადმყოფოში მუშაობა.

1914 წელს ექიმი კოსტავა მობილიზაციით გაწვეული იქმნა ჯარში და გაიგზავნა გერმანიის ფრონტზე, სადაც გასტანა მან 1915 წლამდი. 1915 წელში ახურის ხაზზე ბრძოლის დროს ამხ. კოსტავამ მიიღო კონტუზია, რის გამო საექიმოდ—გაგზავნეს ის ქ. ლენინგრადში. ერთი თვის ექიმობის და დასვენების შემდეგ დაიწყო მუშაობა როგორც ორდინატორმა სხვა და სხვა გოსპიტლებში.

ქალ. ლენინგრადში ექ. კოსტავა მუშაობდა თებერვლის რევოლიუციამდე, რომელშიაც მიიღო მონაწილეობა როგორც ერთ-ერთ მებრძოლმა. 1917 წელს მარტში ამხ. კოსტავა გამოემგზავრა კავკასიაში, ქ. თბილისში ამხ. კოსტავა მსახურობდა ორდინატორად პარტახტიან სახადის პალატებში, ჩვეულებრივად მან აქაც მოიხვეჭა სიმპატია.

1919 წ. ის მიწვეულ იქნა ქ. ქუთაისის საპყრობილეში პარტახტიან სახადის ჩასაქრობად, რის შემდეგ დატოვებულ იქმნა საპყრობილეს საავადმყოფოს უფროს ექიმათ. ამ დროს ქუთაისის ციხე ივსება კომუნისტებით, სადაც იყვნენ კომპარტიის ბელადები: ორახელაშვილები მამია და მარო, მიშა ოკუჯავა, თენგიზ ჟღენტი, სერგო ქავთარაძე, ვანო სტურუა და სხვები, რომლებსაც ამხ. კოსტავამ გაუწია მრავალი მდგომარეობის და მიხედვით შესაფერისი დახმარება.

დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა ის განაგრძობდა ქუთაისის გამასწორებელ სახლის საავადმყოფოს გამგეობას.

1921 წელს ის თავის ნებით შევიდა წითელ ჯარში და მსახურობდა ექიმად ქუთაისის სადარაჯო ათასეულში.

ძველ დროს ამხ. კოსტავას მოქმედება იპყრობდა მშრომელ მოქალაქეთა ყურადღებას და ძველ ჯარშიც ამხ. კოსტავა უყვარდათ და დიდი სიმპატია ჰქონდა დამსახურებული ჯარის კაცთა შორის.

ამხ. კოსტავას ეჭვის და უნდობლობის თვალით უყურებდა თვითმპყრობელობის ერთგული ექიმები რისთვისაც ის შევიწროებული ყოფილა სამსახურში.

დღეს ამხ. კოსტავა მსახურობს პირველ ქართულ ლეგიონში.

ამხ. კოსტავა 1923 წლიდან არის ლეგიონში. ამ მცირე დროის განმავლობაში მან დაიმსახურა ნდობა, როგორც წითელ არმიელთა შორის აგრეთვე უფ პოლიტ-შემადგენლობის შორის.

დღეს ამხ. კოსტავა ატარებს სან-საათებს ლეგიონის მასშტაბით და ეწევა სან-განათლების მუშაობას ქართულ, დივიზიის მასშტაბში.

მეთოდი ამხ. კოსტავას მეცადინეობისა ძლიერ მიმზიდველია, ის სცდილობს რაც შეიძლება მდაბიო გასაგებ ენით შეასწავლოს წითელ მოლაშქრეს. ენერგიული მომუშავე,—ერთგული მუშაკია საბჭოთა ხელისუფლებისათვის ის. ამხ. კოსტავა უყვარს ყველა წითელ არმიელს და უფ-პოლიტ-შემადგენლობასაც.

ლეგ. სამხკორი: **ჩხიკვიშვილი.**

ქ. მ. საარტ. დივიზიონის წით. არმიელები ექსკურსიაზე.

28 თებერვალს დივვეტლაზარეთის ექიმ ამხ. ფერაძის მეთაურობით არტ. დივიზიონის ყველა ბატარეების წით. არმიელები რიცხვით 75 კაცი გაემგზავრნენ დილით სახალხო მიწათმოქმედების ვეტერინარულ ლაბარატორიის დასათვალიერებლათ. წით. არმიელების სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ყველა მხიარული სახის გამომეტყველებით და სიმღერით მიეშურებოდნენ მწყობრად საექსკურსიოთ. აგერა და მივედით ვეტერინარულ ლაბარატორიულ საცდელ სადგურზე. მეთაურებმა წით. არმიელები სადგურის წინ დააყენა, ვეტ. ექიმმა ამხ. ფერაძემ ნაწილი წით. არმიელებისა ეზოში შეიყვანა. სადგურის გამგე ამხ. რეტკო წით. არმიელებს მიესალმა და დიდი აღფრთოვანებით მიიწვია ლაბარატორიაში.

ხსენებული სადგ. მზადებს ციმბირის ჭირის საწინააღმდეგო შრატი. სადგურში მოთავსებული არიან საცდელი ცხოველები, რქიან ცხოველებიდან ხარი, ერთფლოქვიან ცხოველებიდან ცხენი. დანარჩენ ცხოველებიდან ზღვის ღორები, მელა, კურდღლები, ვირთხები, თაგვები და სხვა, რომლებზედაც გრძელდება ცდები ხსენებულ სადგურში. გამგის საუბრიდან როგორც სჩანს შრატი საკმაოდ მზადდება და შედეგებიც კარგი მოაქვს ცხოველებზე ცდების დროს.

ვეტ. ექიმებმა ამხ. რეტკომ, ამხ. კაჭახიძემ და ამხ. ფერაძემ წით. არმიელებს აუხსნეს თუ როგორ მზადდება შრატი და როგორ ხდება ცხოველებზე ცდა. ახსნა განმარტების შემდეგ დათვალიერებული იქმნა ლაბარატორიის ყველა საგნები, გავშინჯეთ მიკროსკოპით მიკრობები (ანუ თვალით უჩინარი ცხოველები.) დათვალიერება და საუბარი ხსენებულ ექიმების ხელმძღვანელობით გაგრძელდა სამი საათი. ლაბარატორიის დათვალიერების შემდეგ ლაბ. გამგემ ამხ. რეტკომ ბოდიში მოიხადა წით. არმიელების წინაშე, რომ მან სავსებით ვერ მოასწრო ყველაფერი ერთად დაეთვალიერებინა წით. არმიელებისათვის დროის განსაზღვრის გამო. ლაბარატორიაში ბევრი საყურადღებო საგნები მოიპოება, რომ ჩვენს წით. არმიელებს არ უნახიათ და არ აუხსნიათ მათვის. იმედია ერთხელ კიდევ დაგვათვალიერებიებს ვეტ-სან. საათის ხელმძღვანელი ამხ. ფერაძე და უვადო შვებულებაში მიმავალ წით. არმიელებს კიდევ დაუმტკიცებს მათ რომ მეურნეობაში ვეტერინარიის ცოდნას დიდი სარგებლობა მოაქვს. ახლო მომავალში ჩვენი არტ. წით. არმიელები დაუბრუნდებიან თავიანთ მეურნეობას, სადაც იმედია გაიხსენებენ ვეტ. სანიტარიაზე ნასაუბრებ დარიგებებს და გამოიყენებენ მას მეურნეობაში. ეჭვი არ გვეპარება რომ უვადო შვებულებაში დაბრუნებული წით. არმიელები აწი მაინც გამოიყენებენ თავიანთ ცოდნას ვეტერინარიაში და იხსნიან ავადმყოფ პირუტყვებს სიკვდილისაგან. მეურნეობაში შინაურ ცხოველებს დიდი სარგებლობა მოაქვთ. ამიტომ ჩვენმა მუშათა და გლეხთა მთავრობამ ჯარში უნდა შემოიღოს ვეტ. სან. საათი, რომ ცოტათ თუ ბევრათ წ. არმიელებს ქონდეთ წარმოდგენა საერთო ვეტერინარიაზე. ქ. დივიზიის ვეტ ექიმმა მოაგვარა ეს საკითხი და ჩვენს არტ. ნაწილებში დანიშნა ქართული ენის კარგი მცოდნე ვეტ. სან. საათის ხელმძღვანელი, რომელიც წესიერ მეცადინეობით მან გაატარა წით. არმიელებში ვეტ. სანიტარული სრული პროგრამა, რის შემდეგ იწყება მიწად მოქმედების ვეტ. სადგურების დათვალიერება.

იმედია რომ მომავალში ახალ-წვეულ წითელ არმიელებში ვეტერინარული გაკვეთილი გახდება სავალდებულო საგნათ.

ა. ნამკაშურის პირელი

ვინ იქნება შემდეგი.

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ სოფელ ბახვის სამკითხველოსთვის და ვთხოვ სხვა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოუწერონ თავიანთ სოფლებს:

1. მაქსიმე ჰელიძეს—ბახვის სოფლიდან.
2. თამარა ანდღულაძეს (გიორგის ასულს).
3) ისაკი ინწკირველს.
4. ნიკო ღლონტს.
5. პეტრე ჰელიძეს.
6. კალენიკე ანდღულაძეს.
7. გიორგი ივანეს ძე ბოლქვაძეს.
8. ილიკო გუმბერიძეს.
9. გერონტი მამეშვილს.
10. მარუსია ჰელიძეს.
11. სერგო ჰელიძეს.
12. თამარა ექვთიმეს ასულს დოლიძეს.
13. გერასიმე ქიქოძეს.
14. კატო ნიკოლაიშვილს.
15. შალვა ცქიტინიძეს.
16. ბესარიონ ჰელიძეს.
17. მიხაკო თედორეს ძე ჰელიძეს.
18. დომენტი მდინარაძეს.
19. სევერიან მეფარიშვილს.
20, ბესარიონ კონსტანტინეს-ძე დოლიძეს.
21. ილიკო კანდელაკს.
22. იპოლიტე ინწკირველს.
23. სანდრო თენეიშვილს.
24 ალფესი წულაძეს.
25. მოსე თენეიშვილს.
26, სანდრო პავლეს ძე ნიკოლაიშვილს.
27. შუშანა ბერეჟიანს.
28. ამბაკო მგელაძეს.
29. კოლია და შალიკო ანდღულაძეებს.
30. ვალოდია ივანეს ძე ნიკოლეიშვილს.
31. ისაკი მელუას.
32. გაბო ქიქოძეს.
33. ხარიტონ ჰელიძეს.
34. სერგო სალუქვაძეს.
35. იპოლიტე თენეიშვილს.
36. მათე ერქომაიშვილს.

ალ. ლ. ერქომაიშვილი.

ახალი ამბები

პროლეტ.-კულტურის სახლი.

განათლების მთავ. მმართველობამ შეადგინა კომისია სკოლის გარეშე განათლების მუშაკთა სახლის სარეორგანიზაციოთ და პროლეტარულ კულტურის სახლის მოსაწყობათ.

უდინთა საზოგადოებისათვის.

სრულიად საქართველოს ცაკმა დაადგინა შუამდგომლობით მიმართოს ა. კ. ცაკს ქართველ უდინთა საზოგადოებისთვის დახმარების გაწევის შესახებ.

მზრუნველობა მაზრებზე.

საქ. ცაკმა გადასწყვიტა მიიღოს საჭირო ზომები სვანეთში და ფშავ-ხევსურეთში გზების გაყვანის და საავადმყოფოების მოსაწყობათ.

უზენაეს სასამართლოში.

საქ. უზენაეს სასამართლოში პროკურორათ დაინიშნა ამხ. კარტოზია.

დახმარება მწერალ ქალს.

საქ. ცენტ. აღმასკომმა მწერალ ქალ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას იუბილეს გამო გადასდო 200 მანეთი ჩერვონცით.

ფრენა ტფილისში.

ცუდი ამინდების გამო შეწყვეტილია ფრენა თბილიზე განახლებულ იქნება მომავალ კვირას.

სააგარაკოთ.

სააგარაკო სეზონის დამდეგს თბილის მანგლისს შორის იწარმოებს ჰაეროპლანებით მოგზაურობა.

შემთხვევები.

— **ქალის გატაცება.** ამ რამოდენიმე დღის წინეთ სოფ. ნორჯიკეთში ნიკო ბურდულმა გაიტაცა თამარა გიგაური, მეორე დღეს მათ თავი გაუტარებიათ დაქორწინებულთა რეგისტრაციაში. მამის დაჟინებით ქალი დაბრუნდა სახლში. ბურდული შეიპყრეს.

— **მაღაზიის გატეხვა.** 9 მარტს პლეხ. პრ. № 81 გატეხეს ალზენბურგის საპარფიუმერიო მაღაზია. წაიღეს 400 ჩერ. მან. ნივთები.

— **ქურდობა.** 10 მარტს ევანგულოვის ქუჩაზე № 2 გაქურდეს ცელაძის ბინა.

— **ქურდობა.** კირკის ქუჩა №16 გაქურდეს წინამძღვარიშვილის ბინა

10 მარტს საღამოს, წაიღეს 35 ჩერვონეცის ნივთები. ქურდი შეიპყრეს.

ხელოვნება.

„მეოცნებე ნიამორები" აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა „მეოცნებე ნიამორების" მორიგი ნუმერი ვ. გაფრინდაშვილის რედაქტორობით.

ახალი წიგნები მარტის ბოლო რიცხვებში გამოვა ალ. ყაზბეგის ნაწერების მეორე ტომი.

საბავშო ჟურნალი. საბავშო ჟურნალ „ჯეჯილის" მაგივრათ ამიერიდან გამოვა „წითელი სხივი".

დღეს თეატრებში.

ოპერა—მადამ ბატერფლეი.

დრამა—თურქული წარმოდგენა.

სახალხო სახლი—ქართული წარმოდგენა.

ცირკი—რენოს ბენეფისი.

მცირე თეატრი—საბავშო წარმოდგენა.

სასოფლო მეურნეობა.

ნაკელის შენახვა.

მცენარეს ნიადაგიდან ამოაქვს საკვები ნივთიერება. ნიადაგი თან და თან იფიტება და მოსავალი კლებულობს. ასეთ ნიადაგის ხელმეორეთ ჯანის აღსადგენათ ხმარობენ სხვა და სხვა სასუქს.

ერთი საუკეთესო სასუქთაგანი ნაკელია. ახალი ნაკელი ნიადაგის გასანოყიერებლათ არ ვარგა, საჭიროა ის გადაიწვას, დაიშალოს, რომ მცენარემ ადვილათ შესძლოს მისი საკვები ნივთიერებებით სარგებლობა.

ამისათვის საჭიროა ნაკელის შენახვა, ნაკელი ძალიან ადვილი შესანახავია. ამისათვის მეურნემ უნდა მოაწყოს ნაკელის შესანახი ადგილი, რომელსაც სანაკელო ბაქანს ეძახიან. სანაკელო ბაქანი მეურნემ ისეთი სიდიდის უნდა გააკეთოს, რომ ადვილათ დაიტიოს ის ნაკელი, რომელიც მის სამეურნეოში მოგროვდება, წლის განმავლობაში.

სხვა და სხვა შინაურ საქონლის და ფრინველების ნაკელს ერთნაირი თვისება და შემადგენლობა არ აქვს, ყველაზე უფრო საყურადღებოა რქიან საქონლის ნაკელი. ის ნიადაგი ფხვიერებს, აჯანსაღებს და ანოყიერებს. ცხენის ნაკელი უფრო ცხელია და მშრალ ნიადაგების მარტო იმით გაპოხიერება არ ვარგა, რადგან ნია აგს კიდევ უფრო გააშრობს.

განსაკუთრებით მდიდარია საკვები ნივთიერებებით მტრედის და სხვა ფრინველების განავალი.

საერთოთ ოჯახში მყოფი სხვა და სხვა ცხოველების ნაკელი ერთათ უნდა შეინახოს ერთ სანაკელო ბაქანზე.

ნაკელის შესანახი ადგილი, სადაც ბაქანის გაკეთებას დააპირებთ უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს: იატაკი რომელზედაც ნაკელი ჰყრია არ უნდა ჰკარგავდეს სითხეს. სითხისათვის, რომელიც ნაკელიდან იწრიტება, საჭიროა ცალკე ორმო. ნაკელის სითხე ძალიან ბევრ საკვებ ნივთიერებებს შეიცავს და ამიტომ მისი დაკარგვა საზარალოა.

ნაკელის ზვინს არ უნდა უდგებოდეს გარედან მინადენი წვიმის ან სხვა რაიმე წყალი.

ნაკელის ბაქანს ძირი ნახევარი ვერშოკით დაქანებული უნდა ჰქონდეს, რომ ნაკელის სითხე ამ დაქანებულზე დაეშვას და მის შესაგროვებელ ორმოში ჩავიდეს.

სითხის შესაგროვებელ ორმოზე უნდა დაიდგას სითხის საქაჩავი, სითხის ამოსაღებათ.

სანაკელო ბაქანის ირგვლივ თხრილი უნდა შემოევლოს ნაკელის წყალიდან დასაფარავათ.

ძალიან კარგია თუ სანაკელე ბაქანის ირგვლივ ჩრდილოსათვის ხეებს შემოვრგავთ. ამისათვის კარგია ალვის ხე, რომელიც სწრაფათ იზრდება, საკმაო ჩრდილი იცის და ნაკელის სიახლოეს კარგათ უძლებს.

სანაკელე დრო გამოშვებით უნდა ვრწყათ, რომ ნაკელი არ გამოშრეს ან ობი არ მოეკიდოს.

მეურნე.

თბული.

თბული არის ამოთხრილი ორმოები შუშაბანდით დახურული, რომელშიაც მოყავთ ადრეული ბოსტნეული.

თბულებს საზოგადოთ აკეთებენ მყუდრო და ქარისაგან მოფარებულ ადგილას ისე, რომ პირი სამხრეთისაკენ ქონდეს მიმართული და მზე პირდაპირ უყურებდეს მას.

თბულების სიღრმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მცენარეები გინდათ მოიყვანოთ იქ. თუ თბული გინდათ იანვარში დასათესი მცენარეებისათვის მაშინ თხრილები უნდა მოთხაროთ სიღრმით 1 ნახ. არშინის სიღრმის. ხოლო თებერვალში დასათესი მცენარეებისათვის ერთი არშ. გაზაფხულზე დასათესი მცენარეებისათვის ნახ. არშ.

ამ მხრივ თბულებს აქვს თავისი სახელები 1 ნახ. ამოთხრილს ჰქვია ცხელი თბული, ერთი არშ.—თბილი, ნახ. ცივი თბული. თბულს უნდა ქონდეს განი ერთ ნახ. არშინი. სიგრძე კი დამოკიდებულია სურვილისამებრ. ცხელს და თბილ თბულს უკეთებენ შუშაბანდს, ხოლო ცივს არა.

თბული უნდა გააკეთოთ შემდეგ წესით:

უნდა ამოთხაროთ ორმოები და გარშემო შემოუწყოთ ჩარჩოები, რომელზედაც შემდეგში უნდა გაიმართოს შუშაბანდი. ჩარჩოები ისე უნდა დააწყოთ, რომ მისი სამხრეთის მხარე ხუთი ან ექვსი ვერშოკით დაბლა უნდა იყოს ზემო ე. ი. ჩრდილოეთის მხარეზე. ეს იმისათვის არის საჭირო, რომ შუშაბანდი სამხრეთისაკენ იყოს დაქანებული და მზე პირდაპირ შუშებს უყურებდეს რაც დიდათ საჭიროა ყველა მწვანეულთათვის. თხრილების მომზადების შემდეგ ამზადებენ ცხენის ფუნას. ცხენის ფუნა არეული ცხენის ფეხქვეშ ნაყარ თივაში, წარმოადგენს საუკეთესო მასალას თბულებისათვის. ამ წესით მომზადებული ნაკელით ავსებენ თბულებს. ნაკელი არ უნდა იყოს დატკეპნილი. ის უნდა მოეყაროს თანაბრად, თორემ ზოგს ადგილას ნაკელი ჩაიწევა და ზოგს კი დარჩება მაღლა. შემდეგ ამის ცხენის ნაკელს უნდა მიეყაროს საქონლის გადამიწებული. ნაკელი თუ რამდენია საჭირო საქონლის ნაკელი დამოკიდებულია იმისგან თუ რა მცენარეები გვინდა მოვიყვანოთ მასში. პატარა მცენარეებისათვის, სახელდობრ თვის ბოლოკისათვის, წიწმატისათვის საკმაოა დააყაროთ საქონლის სასუქი 1—1 ნახ. ვერშოკზე.

დიდრონ ფესვიან მცენარეებისათვის კიტრი, ნესვი საზამთროსათვის 4—5 ვერშოკზე. შემდეგ უნდა დავახუროთ შუშაბანდი და მესამე დღეს უკვე შეგვიძლია შევუდგეთ თესვას. ასეთი წესით მომზადებულს თბულებში საქმის მცოდნე მეურნეს შეუძლია მოიყვანოს ადრეულათ ყველა მწვანეულობა.

X.

ჩეხო სლოვაკიის არმია.

ჩეხო-სლოვაკია—დემოკრატიული რესპუბლიკაა, 14.500 ათას სული მოსახლეობით. ჩეხები და სლოვაკები 59,3 % გერმანელები 27,4%, მადიარები 5,9%, უკრაინელები—2,9%, ებრაელები 2,7%, პოლონელები 1,2%, 0,6% დანარჩენნი. სასოფლო მეურნეობის დარგის მოსავალი ადგილობრივ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს. 1920 წელს ჰყავდათ: 22 ათასი ცხენი, ხარი და ძროხა 1940 ათასი, ცხვარი 168 ათასი. თხა 683 ათასი, ღორი 773 ათასი, ტერიტორიის მოედნის 32% დაფარულია ტყით. ყოველწლიურად 565 მილ. კუბიურ ფუტიხით სარგებლობენ. 1913 წელს 143 შაქრის ქარხანა იძლეოდა 1,2 მილიონ ტონა შაქარს; 639 ლუდის ქარხანა 11,3 მილიონ გექტოლიტრ ლუდს; 1505 არაყის გამოსახდელი ქარხანა 1,2 მილიონ გექტოლიტრ სპირტს.

ჩეხო სლოვაკიის სამთო რაიონი მდიდარია ნახშირით, რკინით, გრაფიტით და გრანატით. ქვანახშირის ჩანაწოლებით მდიდარია ბრუქს-ტეპლიცი და ფალკენაუ. კარპატებში და დასავლეთ სლოვაკიის მთებში და რუტენიაში მოიპოვება ოქროს, ვერცხლის, სპილენძის და ტყვიის ჩანაწოლები. 1919 წელს მაღაროებში 110.233 მუშა იყო ჩაბმული. იმავე წელს ამოღებულია 10,4 მილიონი ტონა ქვანახშირი და 16,2 მილიონი ტონა რუხი ნახშირი.

1920 წელს არსებობდა 8.833 საფაბრიკო სარეწავი. აქედან: 2.000 საფეიქრო, 1,755 მინა-შუშის, 1,358 საჭმლის, 674 ავეჯის, 595 მანქანის ამგები, 592 ლითონის დამუშავების, 297 ქაღალდისა და 458 ქიმიური. გააქვთ უმთავრესათ: შაქარი 1,5 მილიარდ კრონისა, ხილეულება 564 მილიონისა, ხე-ტყე 614 მილ., მინა შუშა 370 მილ., რკინა 315 მილიონისა. შეაქვთ ხორბალი, ბამბა, აბრეშუმი, მატყლი, ტყავი.

19 მარტის 1920 წლის კანონით გათვალისწინებულია 4 კორპუსის ყოლა მშვიდობიან დროს და არმიის საერთო რიცხვი განსაზღვრულია 150.000 კაცით. ამ კანონის ძალა 1924 წლის ოკტომბრამდე გრძელდება რის შემდეგ ახალი კანონით იქნება დაწესებული არმიის რიცხვი.

1922 წლის მონაცემულობით ჩეხო-სლოვაკიის არმიაში შედის: 14 ქვ. ჯარის დივიზია, 2 სამთო ბრიგადა, 1 ცხენოსანა დივიზია, 3 ცხენოსანი ბრიგადა; 16 მსუბუქი, 14 საგაუბიცო და 5 მძიმე საარტილერიო ჯგუფი, საარმიო განსაკუთრებული არტილერია, რომელიც საჭიროების მიხედვით მიეჩინება ამა თუ იმ დივიზიას; 5 საინჟენერო ლეგიონი, 1 სატელეგრაფო ლეგიონი, 1 სარკინისგზო, 5 ათასეული ჯავშნოსან მატარებლებისა, 3 ავტომობილთა ათასეულისა და 10 ათასეული სანაპირო ჯარებისა. მშვიდობიან დროს ჩეხო-სლოვაკთა დივიზია შესდგება: ორი ორ-ლეგიონიან ბრიგადისა, ერთი საველე, ერთ მძიმე საველე და ერთ სამთო საარტილერიო ლეგიონებისაგან. ამას გარდა, უკვე მშვიდობიან დროს ქვ. ჯარის დივიზიაში ითვლება ტანკების ნაწილები, ჯავშნოსანი ავტომობილები და ჯავშნოსანი მატარებლები. კავალერიისა, არტილერიისა და ტეხნიურ ჯარის ორგანიზაციის შესახებ ნამდვილი ცნობები არ არის.

ყოველი მოქალაქე 20 წლის ჰასაკისა ხდება სამხედრო-ვალდებულად და 50 წლისა თავისუფლდება მოვალეობისაგან. არმიაში სამსახური 14 თვესა გრძელდება. 1922-23, 24 წლებში ნამდვილი სამსახური 18 თვეს გაგრძელდება და მხოლოდ 1926 წლიდან ფაქტიურად იქნება 14 თვიანი. ოფიცერთა კადრის შესავსებად გრანიცაში დაარსებულია სამხედრო აკადემია, სადაც იღებენ 18—25 წლის ფიზიკურად ჯანსაღ, საშუალო განათლების ახალგაზრდობას და აგრეთვე მცოდნე და კარგი ყოფაქცევის უნტერ-ოფიცრებს, აკადემია იყოფა ოთხ ნაწილად (ქვ. ჯარი, არტილერია, კავალერია და საბარგულო). აკადემიის კურს დამთავრებულნი პოდპორუჩიკის ხარისხზედ აიყვანებიან. პრაგაში არსებობს უმაღლესი სამხედრო სკოლა სადაც საშტაბო საქმეში გაწვრთნისათვის იგზავნებიან ოფიცრები.

ჩეხო-სლოვაკური სამხედრო ჟურნალი „ვოინსკე როძნელიდი" გამოდის თვეში ორჯერ 64 გვერდიან რვეულის სახით. ეს ჟურნალი 1920 წლიდან გამოდის. ამ საქმეს სათავეში უდგას სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება. სამხედრო ლიტერატურა არ არსებობს და მხოლოდ ეხლა ეყრება საფუძველი.

გ. ბ—შვილი.

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი სისტემის დირიჟაბლები.

დირიჟაბლები ეს იგივე ჰაეროპლანებია, მაგრამ მათი საერთო კონსტრუქცია ძლიერ განსხვავდება ჰაეროპლანებისაგან. იმ დროს როდესაც ჰაეროპლანები თავისი ფრენის დროს მთლიანად ფრთებზე არიან დამყარებულნი, დირიჟაბლების უმთავრეს საშვალება ფრენისთვის მისი დატენილობაა ისეთი ჰაერის დაგვარი გაზებით, რომლებიც ბევრად უფრო მსუბუქნი არიან ჰაერზე. ჩვეულებრივ დირიჟაბლებში სახმარ გაზად მიღებული იყო წყალბადი, რომელიც 14-ჯერ უფრო მსუბუქია ჰაერზე. მაგრამ წყალბადის ხმარება ამ მიზნისათვის რომ ერთობ სახიფათო შეიქნა, ეს თავიდანვე დაეტყო მას. საქმე იმაშია რომ თუ წყალბადი შეუერთდა ჰაერს გახურების დროს ჩნდება ე. წ. ამაფეთ. გაზი, რომელი თქმა არ უნდა ასეთი შემთხვევის დროს მთლიანად ააფეთქებს დირიჟაბლსაც. ეს კი ძალიან ადვილი შესაძლებელია, რადგან დირიჟაბლზე მოთავსებულია მისი მოძრაობაში მოსაყვანად მოტორი, რომელიც მუშაობის დროს ახურებს წყალბადს და შესაძლებელი ხდება მისი აფეთქება. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად განიზრახეს დირიჟაბლები დაეტენათ წყალბადით კი არა, არამედ ე. წ. ჰელიუმით, რომელიც თითქმის უფრო მსუბუქიც არის წყალბადზე. მაგრამ ეს პროექტიც განუხორციელებელი დარჩა, რადგან ჰელიუმი ერთობ ძნელი მოსაპოვარი გაზია და შემდეგ მისი დიდი რაოდენობით მოპოებაც თითქმის შეუძლებელია. ყველა ამის გამო ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში, ერთმა რუს ინჟენერმა წამოაყენა პროექტი დირიჟაბლებიდან სრულიად ამოექაჩათ ჰაერი და მაშინ ის უფრო მსუბუქი შეიქნებოდა და აღარც საშიშროებას ექნებოდა ადგილი. მაგრამ ეს პროექტიც განუხორციელებელი დარჩა იმ დროს, რადგან დირიჟაბლების კედლები მზადდებოდა მაშინ გასანთლული მატერიისაგან და თუ ჰაერს ამოვქაჩავდით იქედან ჰაერის დაწოლა ამ კედლებს ერთმანეთზე მიიყვანდა. ასეთი ხერხისთვის დირიჟაბლის კედლები აუცილებლად რაიმე მაგარი ლითონისაგან უნდა ყოფილიყო დამზადებული. ერთად ერთი ლითონი რომელიც ამ მიზნისთვის გამოდგებოდა ფოლადი იყო, მაგრამ ის მეტად მძიმე იყო და ამიტომ გამოუსადეგარიც. რუსი ინჟენერის პროექტი ამ რიგად განუხორციელებელი დარჩა. მაგრამ ეხლა როდესაც უკვე მოიპოვეს სხვა და სხვა ლითონების შენადნულისაგან ძლიერ მაგარი და მსუბუქი ლითონი ე. წ. დურალიუმინი, გაიხსენეს ინჟენერ ციალკოვსკის აზრი და იტალიაში ასეთი ლითონისაგან დაამზადეს უდიდესი დირიჟაბლი, რომლიდანაც გამოქაჩულია ჰაერის დიდი რაოდენობა. დირიჟაბლი საერთოდ იტევს 78,000 კილოგ. წონით. ამოქაჩულია იქედან 70,000 კილოგრამი. მაშასადამე დარჩა სულ მცირე რაოდენობა. დირიჟაბლის მთელი მოცულობა უდრის 60,000 კუბ. მეტრს და მოთავსებულია ზედ ორი მოტორი 750 ცხენის ძალის. რომ ასეთი დიდი დირიჟაბლი სათანადო მაგარიც იქნეს, შიგნით იმრავალ ადგილზეა გადამტიხრული. დირიჟაბლს შეუძლია 90 მგზავრის და 23 მასზე მოსამსახურეების წაყვანა.

შ. ს.

ჩერვონცის კურსი 14 მარტს

1 ჩერ. 8,500,000,000.

ჩერვონცის კაპეიკები ამიერ-კავკასიის ბონებში.

1კ.	8,500,000	55 კ.	467,500,000
2კ.	17,000,000	60 კ.	510,000,000
3კ.	25,500,000	65 კ.	552,500,000
4კ.	34,000,000	70 კ.	595,000,000
5კ.	42,500,000	75 კ.	637,500,000
6კ.	51,000,000	80 კ.	680,000,000
7კ.	59,500,000	85 კ.	722,500,000
8კ.	68,000,000	90 კ.	765,000,000
9კ.	76,500,000	1 მ.	850,000,000
10კ.	85,000,000	2 მ.	1,700,000,000
15კ.	127,500,000	3 მ.	2,550,000,000
20კ.	170,000,000	4 მ.	3,400,000,000
25კ.	212,500,000	5 მ.	4,250,000,000
30კ.	255,000,000	6 მ.	5,000,000,000
35 კ.	297,500,000	7 მ.	5,950,000,000
40 კ.	340,000,000	8 მ.	6,800,000,000
45 კ.	382,500,000	9 მ.	7,650,000,000
50 კ.	425,000,000	10 მ.	8,500,000,000

ნ. დ. ს.ც. ტირაჟი 1300 სტამბა, კუცხოველის ქუჩა, ცლსმენი 8-61. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე